შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
"UNITED AIRPORTS OF GEORGIA" LLC

N 76

" 22 " 10 " 2021.

ბრძანება

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" დირექტორის, „დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ავტოსადგომით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ" 2021 წლის 14 აპრილის N18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. შევიდეს ცვლილება „დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ავტოსადგომით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ" 2021 წლის 14 აპრილის N18 ბრძანების (შემდეგში - „ბრძანება") პირველ მუხლში და დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტები:

„1.6. ავტობუსების / მიკროავტობუსების დგომა, შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი პირობების გათვალისწინებით, ამ ბრძანებით განსაზღვრულ N2 პარკინგზე BUS აღნიშვნით გამოყოფილ ადგილას:

1.6.1. ავტობუსის / მიკროავტობუსების დგომის საფასური გადაიხდება შესვლამდე და ერთჯერადად შესვლისთვის წარმოადგენს 15 ლარს, იმ შემთხვევაში თუ დგომის ხანგრძლივობა არ აღემატება 24 საათს. 24 საათის შემდეგ, ყოველ ჯერზე, ერთჯერადად გადასახდელი დგომის 15 ლარი იანგარიშება დამატებით.

1.6.2. 24 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში დგომის შემთხვევაში, ავტოსადგომით სარგებლობის საფასური პროპორციულად არ გადაანგარიშდება.

„1.7. დაუშვებელია ავტოსადგომით სარგებლობა, აეროპორტის მგზავრებისთვის სატრანსპორტო მომსახურების შეთავაზების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალება განკუთვნილია მგზავრთა კონკრეტული, ტურისტული ჯგუფის ტრანსპორტირებისთვის. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" უფლებამოსილია არ დაუშვას ასეთი სატრანსპორტო საშუალების დგომა ავტოსადგომზე."

2. დამტკიცდეს N2 და N3 სადგომებისთვის გამოსაწერი ავტოსადგომით სარგებლობის ბილეთის სავალდებულო რეკვიზიტები დანართი N1-ის შესაბამისად და დაევალოს შესაბამის სამსახურს, უზრუნველყოს ავტოსადგომით სარგებლობის ბილეთის ფორმის შემუშავება, აღნიშნული დანართით დამტკიცებული შინაარსის გათვალიწინებით.
3. დამტკიცდეს ავტოსადგომით სარგებლობის პირობების საინფორმაციო ფურცელი დანართი N2-ის შესაბამისად და დაევალოს დირექტორის მოადგილეს ოპერირების დარგში, უზრუნველყოს

ქ.თბილისი 0158; სამგზრის ჩ-ნი, აეროპორტის დასახლება, აეროპორტი 0158, AIRPORT, TBILISI, GEORGIA +995 32 2 48 73 73 +995 32 2 48 73 74 info@airports.ge

აღნიშნული ინფორმაციის თვალსაჩინო ადგილას, ფირნიშის სახით განთასება, თითოეული ავტოსადგომის შესასვლელში.

4. დამტკიცდეს ბრძანების კონსოლიდირებული ვერსიას წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს დირექტორის მოადგილეს ოპერირების დარგში.
6. ბრძანება გაეცნოთ დირექტრის მოადგილეებს, აღმასრულებელ მენეჯერს, ფინანსურ მენეჯერს, იურიდიულ სამსახურს, ბუღალტერიას, შემოსავლების აღრიცხვის და ბილინგის სამსახურს, დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მენეჯერს.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი თამარ არჩუაძე

დანართი N1

ავტოსადგომით სარგებლობის ბილეთის რეკვიზიტები

1. ბილეთის ნომერი და თარიღი;
2. მანქანის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი;
3. შესვლის თარიღი და დრო (მინიმუმ წუთების სიზუსტით);
4. ავტოსადგომით სარგებლობის საფასური:
   - ✓ მსუბუქი ავტომობილი - 1 საათი - 2 ლარი;
   - ✓ მსუბუქი ავტომობილი - სადღეღამისო დგომა - 10 ლარი (*სადღეღამისო დგომად ითვლება, თუ ავტომანქანა სადგომზე დგას 5 საათზე მეტი ხნის განმავლობაში 24 საათამდე. 24 საათის განმავლობაში დგომის შემდეგ, დგომის საფასურის ათვლა იწყება ისევ საათობრივად*);
   - ✓ ავტობუსი / მიკროავტობუსი რომელიც სარგებლობს BUS აღნიშვნით განსაზღვრული სადგომით - ერთჯერადი საფასური (არაუმეტეს 24 სთ) - 15 ლარი.
5. საჯარიმო სანქციები:
   - ✓ ავტოსადგომის ბილეთის დაკარგვა - 20 ლარი;
   - ✓ ავტოსადგომზე არასწორი დგომა:
     - ▪ მსუბუქი ავტომობილისთვის განსაზღვრულ სადგომზე, თუ დგომის ხანგრძლივობა არ აღემატება 5 საათს - 5 ლარი, დგომის ყოველი საათისთვის;
     - ▪ მსუბუქი ავტომობილისთვის განსაზღვრულ სადგომზე სადღეღამისო დგომა *(სადღეღამისო დგომად ითვლება, თუ ავტომანქანა სადგომზე დგას 5 საათზე მეტი ხნის განმავლობაში 24 საათამდე. 24 საათის განმავლობაში დგომის შემდეგ, დგომის დროის ათვლა იწყება ისევ საათობრივად)* - 20 ლარი ყოველ ნაანგარიშებ 24 საათზე;
     - ▪ აღნიშვნით „BUS" განსაზღვრულ სადგომზე არასწორი დგომა - 30 ლარი ყოველ ნაანგარიშებ 24 საათზე.
6. აეროპორტის კონტრაქტორი სატრანსპორტო კომპანიების მიერ დგომის წესის დარღვევა:
   - ✓ მიკროავტობუსი - 200 ლარი;
   - ✓ ავტობუსი - 400 ლარი;
   - ✓ მსუბუქი ავტომობილი - 100 ლარი.
7. საკონტაქტო ინფორმაცია:
   - ✓ შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება";
   - ✓ საიდენტიფიკაციო კოდი: 404 389 693;
   - ✓ იურიდიული მის.: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება, აეროპორტი;
   - ✓ E-mail: Info@airports.ge;
   - ✓ Tel. +995 32 2 48 73 73
     +995 32 2 48 73 74

Parking Ticket Details

1. Number and date of ticket;
2. State registration number of vehicle;
3. Date and time of entry (with at least minutes accuracy);
4. Parking fee:
   - ✓ Motor car - 1 hour - 2 GEL;
   - ✓ Motor car – 24-hour parking - 10 GEL *(24-hour parking means parking of a car for more than 5 hours up to 24 hours. After parking for 24 hours, calculation of the parking fee starts again on an hourly basis);*
   - ✓ Bus / minibus that uses the parking lot marked with the sign "BUS" - one-time fee (not more than 24 hours) - 15 GEL.
5. Penalty sanctions:
   - ✓ Loss of the parking ticket - 20 GEL;
   - ✓ Wrong parking:
     - Parking lot designated for a motor car, if duration of parking does not exceed 5 hours - 5 GEL, per hour of parking;
     - 24-hour parking on a parking lot designated for a motor car *(24-hour parking means parking of a car for more than 5 hours up to 24 hours. After parking for 24 hours, calculation of the parking fee starts again on an hourly basis)* - 20 GEL per calculated 24 hours;
     - Wrong parking on a parking lot marked with the sign „BUS" – 30 GEL per calculated 24 hours.
6. Infringement of the parking rules by the airport contractor transport companies:
   - ✓ Minibus - 200 GEL;
   - ✓ Bus - 400 GEL;
   - ✓ Motor car - 100 GEL.
7. Contact information:
   - ✓ "United Airports of Georgia" LLC;
   - ✓ Identification code: 404 389 693;
   - ✓ Legal address: Tbilisi, Airport Settlement, Airport;
   - ✓ E-mail: Info@airports.ge;
   - ✓ Tel. +995 32 2 48 73 73
     +995 32 2 48 73 74

ავტოსადგომით სარგებლობის საინფორმაციო ფურცელი

<u>გაფრთხილება:</u> დაუშვებელია ავტოსადგომით სარგებლობა, აეროპორტის მგზავრებისთვის სატრანსპორტო მომსახურების შეთავაზების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალება განკუთვნილია მგზავრთა კონკრეტული, ტურისტული ჯგუფის ტრანსპორტირებისთვის. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" უფლებამოსილია არ დაუშვას ასეთი სატრანსპორტო საშუალების დგომა ავტოსადგომზე ან/და გამოიყენოს შესაბამისი საჯარიმო სანქციები, ისევე როგორც მიმართოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის ზომებს.

1. **დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ავტოსადგომით სარგებლობის საფასური:**
   1.1. მსუბუქი ავტომობილი - 1 საათი - 2 ლარი;
   1.2. მსუბუქი ავტომობილი - სადღეღამისო დგომა (სადღეღამისო დგომად ითვლება, თუ ავტომანქანა სადგომზე დგას 5 საათზე მეტი ხნის განმავლობაში 24 საათამდე. 24 საათის განმავლობაში დგომის შემდეგ, დგომის საფასურის ათვლა იწყება ისევ საათობრივად) - 10 ლარი;
   1.3. ავტობუსების / მიკროავტობუსების დგომა დასაშვებია მხოლოდ BUS აღნიშვნით გამოყოფილ ადგილას: ერთჯერადი საფასური (არაუმეტეს 24 სთ) - 15 ლარი.
   - ✓ 24 საათის შემდეგ, ყოველ ჯერზე, ერთჯერადად გადასახდელი დგომის 15 ლარი იანგარიშება დამატებით.
   - ✓ 24 საათზე ნაკლე დროის განმავლობაში დგომის შემთხვევაში, ავტოსადგომით სარგებლობის საფასური პროპორციულად არ გადაანგარიშდება.
2. **საჯარიმო სანქციები:**
   2.1. ავტოსადგომის ბილეთის დაკარგვის შემთხვევაში - 20 (ოცი) ლარი;
   2.2. ავტოსადგომზე არასწორი დგომის შემთხვევაში:
   - ✓ თუ მსუბუქი ავტომობილისთვის განსაზღვრულ სადგომზე, დგომის ხანგრძლივობა არ აღემატება 5 საათს - 5 (ხუთი) ლარი, დგომის ყოველი საათისთვის;
   - ✓ მსუბუქი ავტომობილისთვის განსაზღვრულ სადგომზე, სადღეღამისო დგომის შემთხვევაში *(სადღეღამისო დგომად ითვლება, თუ ავტომანქანა სადგომზე დგას 5 საათზე მეტი ხნის განმავლობაში 24 საათამდე. 24 საათის განმავლობაში დგომის შემდეგ, დგომის დროის ათვლა იწყება ისევ საათობრივად)* - 20 (ოცი) ლარი, ყოველ ნაანგარიშებ 24 საათზე;
   - ✓ აღნიშვნით „BUS" განსაზღვრულ სადგომზე არასწორი დგომის შემთხვევაში - 30 (ოცდაათი) ლარი, ყოველ ნაანგარიშებ 24 საათზე.
   2.3. აეროპორტის კონტრაქტორი სატრანსპორტო კომპანიების მიერ დგომის წესის დარღვევის შემთხვევაში:
   - ✓ მიკროავტობუსი - 200 ლარი;
   - ✓ ავტობუსი - 400 ლარი;
   - ✓ მსუბუქი ავტომობილი - 100 ლარი.
3. **დგომის წესის დარღვევევად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები და არა მხოლოდ:**
   - ✓ ავტოსადგომით სარგებლობა, აეროპორტის მგზავრებისთვის სატრანსპორტო მომსახურების შეთავაზების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალება განკუთვნილია მგზავრთა კონკრეტული, ტურისტული ჯგუფის ტრანსპორტირებისთვის;
   - ✓ მსუბუქი ავტომანქანის დგომა ავტობუსის / მიკროავტობუსის / ტაქსის ტიპის სატრანსპორტო საშუალებებისთვის განსაზღვრულ ადგილას;
   - ✓ ავტობუსის / მიკროავტობუსის დგომა მსუბუქი ავტომანქანებისთვის განსაზღვრულ ადგილას;
   - ✓ ავტოსადგომზე მსუბუქი ავტომანქანის / ავტობუსის / მიკროავტობუსის დგომა ერთზე მეტი სადგომის დაკავებით.
   - ✓ მსუბუქი ავტომანქანის / ავტობუსის / მიკროავტობუსის დგომა აეროპორტის ტერიტორიაზე, ავტოსადგომის გარეთ.

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (ს.კ. 404 289 693)
E-mail: Info@airports.ge;
Tel. +995 32 2 48 73 73; +995 32 2 48 73 74.

Parking Information Sheet

Warning: Use of the parking lot for the purpose to offer the transportation services to the airport passengers is not permitted, unless the vehicle is intended for transportation of a specific tourist group of passengers. In case of infringement of the above rule, "United Airports of Georgia" LLC shall reserve the right not to allow parking of such a vehicle in the parking lot or/and to apply appropriate penalty sanctions, as well as to carry out the relevant measures prescribed by the applicable legislation.

1. **Parking fee at David the Builder Kutaisi International Airport:**
   1.1. Motor car - 1 hour - 2 GEL;
   1.2. Motor car – 24-hour parking (24-hour parking means parking of a car for more than 5 hours up to 24 hours. After parking for 24 hours, calculation of the parking fee starts again on an hourly basis) - 10 GEL;
   1.3. Parking of buses and minibuses is permitted only on the designated area marked with the sign "BUS": one-time fee (not more than 24 hours) - 15 GEL.

   - ✓ After 24 hours, each time, one-time parking fee - 15 GEL shall be calculated additionally.
   - ✓ In case of parking for less than 24 hours, the parking fee shall not be calculated proportionally.

2. **Penalty sanctions:**
   2.1. In case of loss of the parking ticket – 20 (twenty) GEL;
   2.2. In case of wrong parking:
   - ✓ If duration of parking in the parking lot designated for a motor car does not exceed 5 hours – 5 (five) GEL per hour of parking;
   - ✓ 24-hour parking in a parking lot designated for a motor car *(24-hour parking means parking of a car for more than 5 hours up to 24 hours. After parking for 24 hours, calculation of the parking fee starts again on an hourly basis)* – 20 (twenty) GEL per calculated 24 hours;
   - ✓ In case of wrong parking in a parking lot marked with the sign „BUS" – 30 (thirty) GEL per calculated 24 hours.

   2.3. In case of infringement of the parking rules by the airport contractor transport companies:
   - ✓ Minibus - 200 GEL;
   - ✓ Bus - 400 GEL;
   - ✓ Motor vehicle - 100 GEL.

3. **Below cases, which may be considered as infringement of the parking rule, shall include but not limited to:**
   - ✓ Use of the parking lot for the purpose to offer the transportation services to the airport passengers, unless the vehicle is intended for transportation of a specific tourist group of passengers;
   - ✓ Parking of a motor car in a lot designated for bus / minibus / taxi;
   - ✓ Parking of a bus / minibus in a lot designated for motor cars;
   - ✓ Parking of a motor car / bus / minibus in the parking lot, occupying more than one parking space;
   - ✓ Parking of a motor car / bus / minibus in the territory of the airport, outside the parking lot.

"United Airports of Georgia" LLC (ID code: 404 289 693)
E-mail: Info@airports.ge;
Tel. +995 32 2 48 73 73; +995 32 2 48 73 74.

ბრძანება

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ავტოსადგომით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ

დამტკიცდეს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის (შემდგომში - „აეროპორტი") ავტოსადგომზე დგომის საფასური და საჯარიმო სანქციები შემდეგი სახით:

1. **ავტოსადგომზე დგომის საფასური:**

1.1. მსუბუქი ავტომობილი, რომელიც სარგებლობს მსუბუქი ავტომობილისთვის განსაზღვრული სადგომით - 1 საათი - 2 (ორი) ლარი;

1.2. მსუბუქი ავტომობილი, რომელიც სარგებლობს მსუბუქი ავტომობილისთვის განსაზღვრული სადგომით - სადღეღამისო დგომა - 10 (ათი) ლარი;

შენიშვნა: *წინამდებარე ბრძანების მიზნებისთვის სადღეღამისო დგომად ითვლება, თუ ავტომანქანა სადგომზე დგას 5 საათზე მეტი ხნის განმავლობაში 24 საათამდე. 24 საათის განმავლობაში დგომის შემდეგ, დგომის საფასურის ათვლა იწყება ისევ საათობრივად.*

1.3. დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია, ავტოსადგომით სარგებლობის საფასური გათვალისწინებული იქნეს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალში ოპერირებად კომპანიებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების ღირებულებებში. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, სადგომით სარგებლობის ღირებულება ზემოდან არ დაემატება ასეთი ხელშეკრულებების ღირებულებებს.

1.4. ავტობუსების / მიკროავტობუსების დგომა, შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი პირობების გათვალისწინებით, ამ ბრძანებით განსაზღვრულ N2 პარკინგზე BUS აღნიშვნით გამოყოფილ ადგილას:

1.6.1. ავტობუსის / მიკროავტობუსების დგომის საფასური გადაიხდება შესვლამდე და ერთჯერადად შესვლისთვის წარმოადგენს 15 ლარს, იმ შემთხვევაში თუ დგომის ხანგრძლივობა არ აღემატება 24 საათს. 24 საათის შემდეგ, ყოველ ჯერზე, ერთჯერადად გადასახდელი დგომის 15 ლარი იანგარიშება დამატებით.

1.6.2. 24 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში დგომის შემთხვევაში, ავტოსადგომით სარგებლობის საფასური პროპორციულად არ გადაანგარიშდება.

1.5. დაუშვებელია ავტოსადგომით სარგებლობა, აეროპორტის მგზავრებისთვის სატრანსპორტო მომსახურების შეთავაზების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალება განკუთვნილია მგზავრთა კონკრეტული, ტურისტული ჯგუფის ტრანსპორტირებისთვის. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" უფლებამოსილია არ დაუშვას ასეთი სატრანსპორტო საშუალების დგომა ავტოსადგომზე.

2. საჯარიმო სანქციები

2.1. ავტოსადგომის ბილეთის დაკარგვის შემთხვევაში - 20 (ოცი) ლარი;

2.2. ავტოსადგომზე არასწორი დგომის შემთხვევაში:

2.2.1. თუ მსუბუქი ავტომობილისთვის განსაზღვრულ სადგომზე, დგომის ხანგრძლივობა არ აღემატება 5 საათს - 5 (ხუთი) ლარი, დგომის ყოველი საათისთვის;

2.2.2. თუ აღნიშვნით „BUS" განსაზღვრულ სადგომზე, დგომის ხანგრძლივობა არ აღემატება 5 საათს - 6 (ექვსი) ლარი, დგომის ყოველი საათისთვის;

2.2.3. მსუბუქი ავტომობილისთვის განსაზღვრულ სადგომზე, სადღეღამისო დგომის შემთხვევაში - 20 (ოცი) ლარი;

2.2.4. აღნიშვნით „BUS" განსაზღვრულ სადგომზე, სადღეღამისო დგომის შემთხვევაში - 30 (ოცდაათი) ლარი.

2.3. აეროპორტის კონტრაქტორი სატრანსპორტო კომპანიების მიერ დგომის წესის დარღვევის შემთხვევაში:

2.3.1. მიკროავტობუსი - 200 ლარი;

2.3.2. ავტობუსი - 400 ლარი;

2.3.3. მსუბუქი ავტომობილი - 100 ლარი.

2.4. დაუშვებელია ავტოსადგომით სარგებლობა, აეროპორტის მგზავრებისთვის სატრანსპორტო მომსახურების შეთავაზების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალება განკუთვნილია მგზავრთა კონკრეტული, ტურისტული ჯგუფის ტრანსპორტირებისთვის. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" უფლებამოსილია არ დაუშვას ასეთი სატრანსპორტო საშუალების დგომა ავტოსადგომზე.

3. დგომის საფასურის გადახდისგან გათავისუფლება

3.1. დგომის საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან წინამდებარე ბრძანების 3.1. პუნქტით განსაზღვრული სუბიექტები, კერძოდ:

3.1.1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" თანამშრომლები, კომპანიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებით სარგებლობისას;

3.1.2. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" დირექტორის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალურად განსაზღვრული სტუმრები.

4. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" თანამშრომლები, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ ავტომანქანის სადგომით უფასოდ, ამისთვის შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" მიერ სპეციალურად გამოყოფილ, თანამშრომლების ავტომანქანების სადგომზე.

5. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული საფასურები მოცემულია გადასახადების ჩათვლით.

6. დაევალოს დირექტორის მოადგილეს ოპერირების დარგში, ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი.

7. წინამდებარე ბრძანება გაეცნოს თანამშრომლებს all@airports.ge ელ. ფოსტაზე გაგზავნის საშუალებით..

8. წინამდებარე ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს დირექტორის 2014 წლის 30 დეკემბრის N123 ბრძანება დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ავტოსადგომით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ."

9. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის 2021 წლის 1 მაისის 00:00 საათიდან.

გარდამავალი დებულება:

ა) ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული საფასურები და საჯარიმო სანქციები, ძალაში დარჩეს უცვლელი სახით, ამ ხელშეკრულებების მოქმედების ვადის განმავლობაში;

ბ) ამ ბრძანების ძალაში შესვლის მომენტისთვის, აეროპორტის სადგომით მოსარგებლე პირებისათვის საფასურისა და სანქციების დაანგარიშება მოხდეს „დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ავტოსადგომით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ" დირექტორის 2014 წლის 30 დეკემბრის N123 ბრძანების შესაბამისად, მათ მიერ აეროპორტის სადგომით სარგებლობის შეწყვეტის პირველივე შემთხვევის დადგმომამდე.

გ) ბრძანებას დანართი N1-ის სახით დაერთვის ავტოსადგომის სიტუაციური ნახაზი. ავტოსადგომი N1 - თანამშრომლების ავტოსადგომი. ავტოსადგომი N2 და N3 - კომერციული ავტოსადგომი.